



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



განკარგულება:გ-93.93220913

თარიღი:01/04/2022

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება-ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ არეშფერანში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის - 19751 კვ.მ. (ს/კ 54.15.51.003) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -270 (ორას სამოცდაათი) ლარი.

მუხლი 2

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- სიღნაღის ყოფილ მიწებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის - 65570 კვ.მ. (ს/კ 54.19.57.011) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -890 (რვაას ოთხმოცდაათი) ლარი.

მუხლი 3

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- სიღნაღის ყოფილ მიწებში მდებარე სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი) დანიშნულების მიწის - 64006 კვ.მ. (ს/კ 54.19.62.002) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით განკარგვის თაობაზე, წლიურ საიჯარო ქირად განისაზღვროს -870 (რვაას სამოცდაათი) ლარი.

მუხლი 4

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 5

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

კარლო ჯამბურია

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

